



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**\*030425456164913\***

KA030425456164913

№ 04-177/ა

10 / აპრილი / 2013 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის #74 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (დანართი 1.6) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

**1. დამტკიცდეს:**

ა) მიმწოდებელის მიერ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის #74 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“(დანართი1.6) „სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფის კომპონენტის“ (დანართი 1.6.1) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული (მექანიკური სავარძელ-ეტლებით) მიმწოდებელის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა (დანართი N1).

ბ) „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის #74 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“(დანართი1.6) „საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის“ (დანართი 1.6.2) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებელის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის ფორმა (დანართი N2).



2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე"-სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 იანვრის №04-66/ო ბრძანება.

3. სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა (გ.გოგინლაძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების და ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს (მ. მაჭავარიანი).

5 . ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ქინქლაძე



# დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის პროვაიდერი დაწესებულებები

#	მომწოდებელი ორგანიზაცია	მისამართი
1.	„აიპ კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“	ქ. თბილისი, კედიას ქ. №7
2.	შპს „მედტექნიკა“	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №106
3.	შპს „ინტექსერვისი-ITS“-	ქ. თბილისი, კედიას ქ# 7
4.	საპროთეზო-ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი	ქ. თბილისი, კედიას ქ. #4
5.	. შპს „ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“	ქ. თბილისი, კედიას ქ. №7
6.	შპს „ ნეიროგანვითარების ცენტრი“	თბილისი, ლუბლიანას ქ. № 2/6
7.	შპს „ორთოჯორჯია“	ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. №1.

